

კომპანია “PUSTECH”
უსაფრთხოების დიდი გამოწვევა
საქართველოსთვის



NED

SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

NATIONAL
ENDOWMENT
FOR
DEMOCRACY



კომპანია NUCTECH - უსაფრთხოების დიდი გამოწვევა საქართველოსთვის


2022 წლის 20 იანვარს, Associated Press News-მა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ევროპის მასშტაბით უსაფრთხოების სკანერების კავშირი ჩინეთის მთავრობასა და შეიარაღებულ ძალებთან“, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ჩინური კომპანია "Nuctech Company Limited"-ის საექვო რეპუტაციასა და მის ფართოდ გავრცელებაზე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში.

სტატიის მიხედვით, „Nuctech“-მა უსაფრთხოების სკანერების მიწოდებით თავი ევროპული ბაზრის ლიდერად დაიმკვიდრა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში, პორტებში, აეროპორტებში, ფორუმებსა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლობებში. ამის მიუხედავად, ბევრმა თქვენგანმა, შესაძლოა, არ იცოდეს, რომ ამ კომპანიას პირდაპირი კავშირები აქვს ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან. იმის შესახებ, რომ კომპანია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის ჰუ ძინტაოს ვაჟის დაარსებულია, ჯერ კიდევ 2006 წელს „ნიუ იორკ თაიმსიც“ იუწყებოდა. ამჟამად, კომპანია მოიცავს ბევრ აქციონერ კომპანიას, რომლებსაც პირდაპირი

თუ ირიბი კავშირები აქვთ ჩინეთის მთავრობასთან. ამასთან, „Nuctech“-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპანია ამუშავებს დიდი რაოდენობის მონაცემებს, ახორციელებს კომპიუტერული სერვისებისა და უსაფრთხოების შემოწმების აპარატების მიწოდებას, რაც მხოლოდ უსაფრთხოების რისკებს ზრდის მომხმარებლებში.

აღნიშნული ჩინური კომპანია, რომელსაც აშკარა კავშირები აქვს ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან, გააკრიტიკა და დაბლოკა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ ჯაშუშობის მაღალი საფრთხისა და სხვა რისკების გამო, რომლებიც მთლიანობაში საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების ეროვნულ უსაფრთხოებას.

ჯერ კიდევ 2020 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო უსაფრთხოების (homeland security) დეპარტამენტი საუბრობდა ჩინური კომპანია „Nuctech“-ის გადაცდომების შესახებ ტაივანსა და ნამიბიაში და აღნიშნავდა, რომ ჩინელ ტექნიკოსებს, რომლებიც კომპანიის აპარატურის აწყობაზე



იყვნენ პასუხისმგებლები, ოპერატორის შემძნეველად, მარტივად შეეძლოთ აღედგინათ სკრინინგის მონაცემები ან შეეცვალათ აღჭურვილობის მუშაობა. სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი რეკომენდაციას უწევდა საკუთარ მთავრობას, უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტს, რომ გადაეხედათ იმ არსებული საფრთხეებისთვის, რომლებიც „Nuctech“-ისა და, ზოგადად, ჩინეთიდან იმპორტირებული სამგზავრო და სატვირთო სკრინინგის სხვა აღჭურვილობებისგან მომდინარეობდა. რეკომენდაციებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა „Nuctech“-ის წვდომას უსაფრთხოების სააგენტოების მიერ გამოყენებულ მონაცემებსა და ალგორითმებზე.

აშშ-ის გარდა კანადამაც უარი თქვა „Nuctech“-ის შეთავაზებაზე, მიეწოდებინა აღჭურვილობა 170 დიპლომატიური მისიისთვის. შესაბამისად, „Nuctech“ შეიძლება მივიჩნიოთ ჩინეთის მთავრობის ხელში არსებულ იმ გავლენიან ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნება.

გარდა ტექნოლოგიური შპიონაჟის და უსაფრთხოების პრობლემებისა, Associated press-ის მიხედვით, „Nuctech“ სინძიანის რეგიონში, შემჩნეული იყო ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში, სადაც ჩინეთის ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდა იულურ მუსლიმებს. ამ ყველაფრის მიუხედავად, კომპანია კვლავ იგებს ტენდერებს და ქმნის ადგილობრივ ფილიალებს ევროპაში.


გასულ წელს, არასამთავრობო ორგანიზაცია **სამოქალაქო იდეამ** გამოაქვეყნა ანგარიში „Nuctech Company Limited“-ის შესახებ, სადაც განხილულია:

- კომპანიის კავშირები საქართველოს მთავრობასთან,
- ქართულ და უცხოურ სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებული თაღლითური გარიგებები,
- მისი აღჭურვილობის ტექნიკური გაუმართაობა, ,
- კომპანიის კორუფციული სკანდალები მთელ მსოფლიოში.






ჩვენმა გუნდმა განსაზღვრა რისკები, რომლებიც ემუქრება იმ სახელმწიფოების ეროვნულ უსაფრთხოებას, სადაც „Nuctech“ ფუნქციონირებს.

კომპანია ქართულ ბაზარზე პირველად 2008 წლის მარტში გამოჩნდა და მას შემდეგ საქართველოს შემოსავლების სამსახურის დაახლოებით 10 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ორი ტენდერი მოიგო. ამ შესყიდვების სიღრმისეული ანალიზის შედეგად, ანგარიშში აღწერილია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ისეთი მაგალითები როგორებიცაა: ტენდერში მონაწილე სხვა პრეტენდენტების უკანონო შეზღუდვა და ტენდერისგან დამოუკიდებლად, სახელმწიფო სააგენტოების მხრიდან დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევები. თავად კომპანიამ კი, ვერ შეძლო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, რამაც შემდგომში ტექნიკის მიწოდების დაგვიანება გამოიწვია.










გარდა საქართველოს არაერთგვაროვანი გამოცდილებებისა „Nuctech“-თან დაკავშირებით, ანგარიშში ჩვენ ვსაუბრობდით მისი უარყოფითი პრაქტიკის შესახებ ნამიბიაში, ტაივანში, კომპანიასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობაზე ევროპაში, ასევე გამოვავლინეთ „Nuctech“-ის სამხედრო კავშირები რუსეთის ფედერაციასთან და გაგაცანით აშშ-ის პოლიტიკა მის მიმართ.









კერძოდ, Nuctech ჩინეთის კორპორატიული ურთიერთობების ქსელში სახელმწიფო თავდაცვის სექტორს განეკუთვნება. Nuctech-ის დედა კომპანია, Tsinghua Tongfang, კონტროლდება ჩინეთის ერთ-ერთი უმსხვილესი თავდაცვის ორგანიზაციის, ჩინეთის ეროვნული ბირთვული კორპორაციის (CNNC) მიერ. ეს უკანასკნელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უზარმაზარი კონგლომერატია, რომელიც სპეციალიზირებულია ორმაგი დანიშნულების ბირთვულ ტექნოლოგიებში. CNNC-ის ორი სხვა შვილობილი კომპანია, ჩინეთის ბირთვული ენერგიის ტექნოლოგიების კვლევის ინსტიტუტი და Baotou Guanghua Chemical Industrial Corporation, შედიან აშშ-ს აკრძალულ ერთეულთა სიაში, რაც ზღუდავს ამერიკულ კომპანიებს მათთან ბიზნესის კეთებაში ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე.






მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ გარდა ეკონომიკური გავლენების გაფართოებისა და კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობისა, „Nuctech“ და მისი მფლობელი - ცინხუას უნივერსიტეტი, ასევე ცდილობენ გავლენების გაზრდას აკადემიურ სფეროშიც. ავსტრალიის სტრა-


ტეგიული პოლიტიკის ინსტიტუტის (ASPI) მიერ შემუშავებული ჩინეთის თავდაცვის უნივერსიტეტების მონიტორინგის ვებ გვერდის „Unitracker“-ის მიხედვით, „Nuctech“-ის დამაარსებელი ცინხუას უნივერსიტეტი უსაფრთხოების ძალიან მაღალი რისკების მატარებელია. ავსტრალიურმა ორგანიზაციამ მოცემული ჩინური უნივერსიტეტი თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული საფრთხის შემცველი კვლევების წარმოებასა და კიბერთავდასხმებში ამხილა და ვითარებაში სწრაფად და მარტივად გასარკვევად, საკუთარ გამოცემებში მას „აეროპორტების ჰუავეის უწოდებს“. ცინხუას უნივერსიტეტი ჩართულია ისეთ კვლევებსა და ინიციატივებში, რომლებიც მოიცავს ხელოვნურ ინტელექტს, სანავიგაციო ტექნოლოგიას, ინსტრუმენტულ მეცნიერებასა და ბირთვული იარაღის პროგრამებს.



ხშირად გვეკითხებიან კონკრეტულ ზიანზე, რომელიც „Nuctech“-მა შეუძლია მიაყენოს სახელმწიფოს. მაგალითად, უკრაინაში „Nuctech“-მა უკრაინის საბაჟო პუნქტებს ჯერ არასრული და დეფექტური აღჭურვილობა მიაწოდა, ხოლო შემდეგ სასამართლოშიც მოუგო საქმე სახელმწიფო უსაფრთხოების ბიუროსა და ფინანსთა სამინისტროს და დამატებითი გადასახადები დააკისრა.



ასევე, მტკივნეული გამოცდილება აქვს ნამიბიას. პეკინმა იგი ჩინეთის ინტერნეტ საძიებო სისტემებიდან ამოიღო და დააწესა ყველა სახის მედია ცენზურა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა დაიწყო „Nuctech“-თან დაკავშირებული კორუფციული სკანდალის გამოძიება.



შემდეგ გამოვლინდა, რომ ამ კორუფციულ სკანდალში ჩართული იყო ჰუ ჰაიფენგი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის ჰუ მინტაოს ვაჟი.

ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ხისტად ეწინააღმდეგება „Nuotech“-ს და ზღუდავს მის წვდომას შიდა ინდუსტრიებზე, არის ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ის სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაციამ (TSA) 2014 წელს აკრძალა „Nuotech“-ის ინსტალაციები და დეტალურად განიხილა კომპანიის არასწორი ქმედებები, რომლებიც ეყრდნობა მის საერთაშორისო გამოცდილებას.

მეტიც, აშშ-ს მთავრობა ევროპელ მოკავშირეებს მოუწოდებს, შეზღუდონ „Nuotech“-ის წვდომა საჯარო ტენდერებზე და არ მიიღონ მის მიერ შეთავაზებული ბარგის შემოწმების მოწყობილობები.

თუმცა, დღეს ევროპულ სახელმწიფოებს ინდივიდუალური მიდგომის პოლიტიკა აქვთ არჩეული „Nuotech“-ის და მისი საქმიანობის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებებზე. მაგალითად, „Nuotech“-მა წარმატებით მოიგო ტენდერები ესტონეთში, ფინეთსა და ხორვატიაში, თუმცა, [ლიტვის მთავრობამ](#) ოფიციალურად აკრძალა ამ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია საკუთარ ქვეყანაში.

2021 წელს ჩატარებული კვლევის დროს, ჩვენი მიზანი იყო შეგვემუშავებინა კომპანიის რეპუტაციისა და საქმიანობის შედარებითი ანალიზი, რათა დავხმარებოდით საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურას იმ კომპანიის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის

ფლობაში რომელიც, ვალდებულებებისა და კანონის მრავალგზის დარღვევის მიუხედავად, მაინც საქმიანობს ქართულ ბაზარზე და, შესაძლოა ხვალ და ზევ კიდევ მრავალ ტენდერში მიიღოს მონაწილეობა.

სამთავრობო უწყებები ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანიის გამოცდილებასა და სხვა ქვეყნებში განხორციელებულ საქმიანობას უნდა სწავლობდნენ და საკითხის ფუნდამენტური შესწავლის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას. ჩვენი კვლევების მიზანიც ის არის, რომ ხელისუფლებას, სწორედ, ამ კუთხით დავხმაროთ. სამწუხაროდ, ბევრი მაგალითი გვაქვს, როდესაც პასუხისმგებელი პირები და კონკრეტული უწყებები არათუ სხვა ქვეყნების გამოცდილებას არ ითვალისწინებენ, არამედ უარს ამბობენ საკუთარი, წარსულში მიღებული, მცდარი გადაწყვეტილებების გაანალიზებაზე. სწორედ, ამიტომ აუცილებლობად მიგვაჩნია, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები ამგვარი ვალდებულების დაკისრების შესახებ, რათა მომავალში მაინც ავიცილოთ თავიდან ახალი ხელშეკრულებების გაფორმების რისკები „Nuotech“-ის მსგავს კომპანიებთან.



THE GEORGIA–TURKEY BORDER საქართველო–თურქეთის საზღვარი

NUCTECH SCANNERS

